

წინამდებარე დოკუმენტი დამტკიცებულია
ბუსსს ანრის გენერალური დირექტორის მიერ
2019 წლის 3 აპრილის სენატის დადგენილების საფუძველზე. ოქმი N08



შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები და
მათი ეფექტურობის შეფასების ანალიზი

საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები

- ა) უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა;
- ბ) უცხოელი სტუდენტების მოზიდვა;
- გ) უცხოენოვანი საგნებით პროგრამების გამრავალფეროვნება;
- ე) ინგლისურენოვანი პროგრამები;
- ვ) საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- ი) საერთაშორისო კვლევები;
- ლ) საერთაშორისო კვლევითი გრანტები;
- მ) ინგლისურის სწავლება;
- ნ) უცხოენოვანი ლიტერატურით პროგრამების გაძლიერება;
- ო) სტუდენტებისა და პროფესორების საერთაშორისო მოხილობა;
- პ) ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების ბიუჯეტის გაზრდა.
- ჟ) უცხოენოვანი სასერთიფიკაციო პროგრამების დანერგვა;
- რ) საერთაშორისო პროფესორების მოზიდვა;

საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების ეფექტურობის
შეფასება

საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების ეფექტურობის
შეფასება ეფუძნება შემდეგ ოთხ დონიან ციკლს:

- ა) მიმდინარე პროცესის ანალიზი;
- ბ) რეკომენდაციების შემუშავება პროცესის დახვეწასთან დაკავშირებით;
- გ) მიღებული რეკომენდაციების დანერგვა;
- დ) სასწავლებლის თანამშრომლებისა და დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა.

შეფასების ინდიკატორები:

- ა) უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან დადებული მემორანდუმების,
ხელშეკრულებების რაოდენობა;
- ბ) ინგლისური ენის სწავლების გასაუმჯობესებლად გატარებული ღონისძიებების
რაოდენობა;

- გ) სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, კონკურსებში მონაწილეობის რაოდენობა;
- დ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებთან დაკავშირებით გაწეული კონსულტაციების რაოდენობა;
- ე) საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ტრენინგების და სხვ. რაოდენობა, რომლებშიც სასწავლებლის სახელით მონაწილეობდნენ მისი წარმომადგენლები;
- ვ) სასწავლებლის მიერ ან მისი მონაწილეობით ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ტრენინგების და სხვ. რაოდენობა;
- ზ) სასწავლებლის საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობა;
- თ) უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლებლად/სტაჟირებაზე გაზავნილი სტუდენტების რაოდენობა.
- ი) აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამების რაოდენობა;
- კ) პერსონალის (არაკადემიური პერსონალის) გაცვლითი პროგრამების რაოდენობა;
- ლ) უცხოურენოვან კურსების/მოდულების/პროგრამების რაოდენობა;
- მ) უცხოელი სტუდენტების რაოდენობა და ზრდის სტატისტიკა;
- ნ) უცხოენოვანი საგნების რაოდენობა;
- ო) ინგლისურენოვანი პროგრამების რაოდენობა;
- პ) საერთაშორისო კვლევით ორგანიზაციებთან განხორციელებული პროექტების რაოდენობა;
- ჟ) საერთაშორისო კვლევების რაოდენობა;
- რ) საერთაშორისო კვლევითი გრანტების რაოდენობა;
- ს) ინგლისურის სწავლებასთან დაკავშირებული საგნების რაოდენობა პროგრამების მიხედვით;
- ტ) უცხოენოვანი ლიტერატურის რაოდენობა პროგრამების მიხედვით და ოდენობები;
- უ) სტუდენტებისა და პროფესორების საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი;
- ფ) ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობა ბიუჯეტში;
- ქ) უცხოენოვანი სასერთიფიკაციო პროგრამებისა და მსმენელების რაოდენობა;
- ღ) საერთაშორისო პროფესურის მოზიდვის მაჩვენებელი;

მიმდინარე პროცესის ანალიზი:

სასწავლებლის საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება შეისწავლის საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების შეფასების ინდიკატორების მაჩვენებლებს. სამსახური ჩაატარებს კვლევას სტუდენტების, პროფესორებისა და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის გზით და შექმნის დოკუმენტს სადაც იქნება ასახული სრული სურათი.

რეკომენდაციების შემუშავება პროცესის დახვეწასთან დაკავშირებით;

საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება შეფასების ინდიკატორების მაჩვენებლების, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტისა და სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის გათვალისწინებით შეიმუშავებს რეკომენდაციებს.

მიღებული რეკომენდაციების დანერგვა

საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება სასწავლებლის გენერალურ დირექტორთან და ადმინისტრაციასთან ერთად დაიწყებს შემუშავებული რეკომენდაციების დანერგვას.

სასწავლებლის თანამშრომლებისა და დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა.

საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება სასწავლებლის თანამშრომლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს გააცნობს შესაბამის დოკუმენტაციას, რისთვისაც ჩატარდება შეხვედრები, გამოყენებულ იქნება ელექტრონული ფოსტა და ვებ-გვერდი კომუნიკაციისთვის.

საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების ეფექტურობის შეფასების ვადები

საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების ეფექტურობის შეფასება უნდა განხორციელდეს ორ წელიწადში ერთხელ. პირველი შეფასება განხორციელდება 2019 წლის სექტემბერ-დეკემბერში.